სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №02-283

ქ. თბილისი

27.02.2015

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობისთვის კონკურსის გამოცხადების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს კონკურსი ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის გამზ. N5-ში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კუთვნილ F და G კორპუსებს შორის მდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის თაობაზე.
2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს, ან სტუდენტთა ჯგუფს არაუმეტეს ორი სტუდენტისა.
3. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს მოცემული ტერიტორიის ხელით ან კომპიუტერული პროგრამის საშუალებით შესრულებული ესკიზური პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება:

ა) მაქსიმალური რაოდენობის ავტომანქანების პარკირების შესაძლებლობა, არსებული შემოსასვლელი გზების შეუცვლელად;

ბ) სარეკრაციო ზონის მოწყობა;

გ) მასობრივი ღონისძიების (კონცერტის) მოწყობის შესაძლებლობა;

დ)წარსადგენი მასალის ჩამონათვალი:

- განმარტებითი ბარათი
- გეგმა/გენგეგმა 1:200მ
- განშლა 1:200მ
- ჭრილი 1:200მ (შესაძლებელია 1:50 ან 1:20 მასშტაბში წარმოადგინოთ ჭრილის კონკრეტული დეტალი(ები))
- ჩანახატები და რენდერები /ან ფოტომონტაჟი
- დამატებითი დეტალები 1:20მ ან 1:10მ
- სარეკრეაციო ზონისთვის საჭირო მცენარეების სპეციფიკაცია, დასახელების მითითებით;

ზ) საკონკურსო ნამუშევრები წარმოდგენილი უნდა იქნეს ამობეჭდილი A1 ფორმატის ტიპის პლანშეტზე (შესაძლებელია ორი A1 ფორმატის პლანშეტის წარდგენა) და ელექტრონულ მატარებელზე ერთ ეგზემპლარად.

4. კონკურსთან დაკავშირებული საკითხების კოორდინატორად და პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო და საინჟინრო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ია კუპატაძე - ia.kupatadze@iliauni.edu.ge;
5. საკონკურსო ნაშრომის წარდგენის ვადებია 2015 წლის 2მარტიდან 16 მარტის ჩათვლით, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 დან 18:00 საათამდე მისამართზე- ჩოლოყაშვილის N3, უნივერსიტეტის კანცელარია.
6. კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესდეს შემდეგი სახის ჯილდოები:

პირველი ადგილი - საგზური ყაზბეგში, უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ სასტუმროში;

მეორე ადგილი- ფილიპ ჯოდიდიოს წიგნი „100 Contemporary Green Buildings";

მესამე ადგილი- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სასაჩუქრე ნივთები.

7. კონკურსის შედეგები გამოცხადდეს საჯაროდ 20 მარტიდან 30 მარტის პერიოდში.

8. დამტკიცდეს კონკურსის ჟიური შემდეგი შემადგენლობით:
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-დავით აფრასიძე;
მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსი- გიორგი მამუჩაშვილი;
რექტორის მოადგილე- ნინო დვალიძე;
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი- ანა კვანჭილაშვილი;
სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი- გიორგი ღვინჯილია;
საბუნებისმეტყველო და საინჟინრო ფაკულტეტის მოწვეული სპეციალისტი, არქიტექტორი იოსებ ალავიძე;
საბუნებისმეტყველო და საინჟინრო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი -ზურა მათიაშვილი.

9. უნივერსიტეტის სამდივნოს და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოთ ამ ბრძანებით განსაზღვრული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელ ფეისბუქში განთავსება;

10. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა;

11. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ფაკულტეტებს, ფინანსურ სამსახურს, საფინანსო დეპარტამენტს, აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტს, სამდივნოს, მატერიალური რესურსების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტსა და ამ ბრძანებით განსაზღვრულ პირებს.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

დავით აფრასიძე